ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტი

კვების ტექნოლოგიები
წარმოების მართვა რძის მრეწველობაში
საბაკალავრო პროგრამა

უნივერსიტეტი რენე 1 - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფრანგულ ქართული უნივერსიტეტის *ეს საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავებას - რძის მრეწველობის სფეროში ცოდნის და გამოცდილების გამდიდრებას, რაც განმსაზღვრელი ფაქტორი იქნება მათი კარიერული წინსვლის პროცესში.*

UNIVERSITÉ DE RENNES 1

ფრანგულ ქართული უნივერსიტეტი

აღწერა

საქართველოს ყველისა და რძის ტრანსფორმაციის გზით მიღებული სხვა პროდუქტების წარმოების დიდი ტრადიცია აქვს. მათი უმეტესობა ტრადიციულად იწარმოება ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, მომხმარებელთა ძალიან მცირე რაოდენობისთვის. ადგილობრივი მოსახლეობის მზარდ მოთხოვნასა და ექსპორტის პერსპექტივებზე საპასუხოდ, დღესდღეობით რამდენიმე კომპანია სამრეწველო პროდუქციას სთავაზობს ბაზარს. რძის მრეწველობის ასეთი ინდუსტრიალიზაცია დაკავშირებულია ისეთ გამოწვევებთან, როგორიცაა სურსათის ხარისხი და უსაფრთხოება, ეკონომიკური ოპტიმიზაცია, სამართლებრივ ნორმებთან და ახალ რძის პროდუქტებზე მოთხოვნასთან ადაპტაცია, კერძოდ, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების ფარგლებში, რომელიც ევროკავშირთან 2014 წლის სექტემბერში გაფორმდა. რძის პროდუქტების ინდუსტრია საჭიროებს კვალიფიციურ მუშაკებს, რომელთაც შეუძლიათ როგორც გლობალური აქტივობების მართვა, ისე გუნდების ხელმძღვანელობა.

მიზანი

ეს პროგრამა სტუდენტებს ამზადებს ისეთ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ კერძო კომპანიებში სამუშაოდ, როგორიცაა: ყველის მწარმოებელი ქარხნები, რძის მწარმოებელი კომპანიები, რძის შემგროვებელი კოოპერატივები თუ ლაბორატორიები, გეოგრაფიული აღნიშვნების მართვის კოლექტიური ორგანიზაციები, რძის პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებაზე მომუშავე ასოციაციები, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მასთან აფილირებული სააგენტოები.

საბაკალავრო პროგრამა "კვების ტექნოლოგიები" ეფუძნება რენეს უნივერსიტეტში – IUT de Saint Brieuc – უკვე არსებულ პროგრამას. შესაბამისად, ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ამ პროგრამაში ჩართვით, სტუდენტები გაივლიან იმავე კურსებს, რასაც გადიან ფრანგი სტუდენტები - პირდაპირ საქართველოში და ქვეყნის საჭიროებებზე მორგებული ფორმით.

სტაჟირება

პროგრამის დასასრულებლად, სტუდენტები 16 კვირას გაატარებენ პროფესიულ გარემოში და მოამზადებენ საბაკალავრო ნაშრომს, რასაც 20 კრედიტი დაეთმობა. კურსის განმავლობაში მიღებული ეს პირველი სამუშაო გამოცდილება გააძლიერებს სტუდენტების პროფილს და გაზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობას.

მოთხოვნები

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, სტუდენტი უნდა ფლობდეს ინგლისური ენის B2 დონეს, მეოთხე კურსის დაწყებამდე. ენის ცოდნა დადასტურდება ან საერთაშორისო სერთიფიკატით (TOIEC, IELTS) ან სტუ-ს მიერ ჩატარებული ტესტების შედეგებით. ორმაგი ხარისხის პროგრამისთვის (მეოთხე კურსი) სტუდენტების შერჩევა მოხდება მათ აკადემიურ შედეგებზე დაყრდნობით.

სწავლის საფასური

სტუდენტები უნივერსიტეტ რენ 1-ში ირიცხებიან პროგრამის ბოლო, მეოთხე კურსის პარალელურად. რენის უნივერსიტეტში სწავლის გადასახადი შეადგენს 2770€/წელიწადში ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეებისთვის, თუმცა ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ფარგლებში, ქართველი სტუდენტები გადაიხდიან დაახლოებით 170€/წელიწადში. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში წლიური გადასახადი შეადგენს 2250 ლარს. სტუდენტებს შეუძლიათ მოიპოვონ სახელმწიფო დაფინანსება.

მობილობა

მობილობა არ არის სავალდებულო პირობა პროგრამის დასასრულებლად. თუმცა, შესაბამისი წინაპირობების მქონე სტუდენტებს შეუძლიათ სასურველი მობილობის სქემაში ჩართვა სტუ-ს ადმინისტრაციის დახმარებით. მობილობა არ დაიშვება პროგრამის მეოთხე კურსზე.

პროგრამის სტრუქტურა

პირველი სამი წლის განმავლობაში სწავლება მიმდინარეობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და სწავლების ენაა ქართული. მეოთხე წელს კი სწავლება ხორციელდება მხოლოდ ინგლისურ ენაზე. საგანმანათლებლო პროგრამაში კომპონენტების თანაფარდობა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: სავალდებულო სასწავლო კურსები - 32 კრედიტი, ინდივიდიალური და ჯგუფური პროექტები - 8 კრედიტი, პრაქტიკა - 20 კრედიტი. პრაქტიკის გავლა შესაძლებელია რძის გადამამუშავებელ საწარმოებში, ყველის მწარმოებელ კომპანიებში, ხარისხის კონტროლის ორგანიზაციებში და სხვაგან.

მეოთხე კურსის შემადგენლობა

მოდული 1: ჰარმონიზაცია და განახლება (გამოყენებითი სტატისტიკა, ერთეულები და გარდაქმნა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, დოკუმენტაციისადმი მიდგომა და მისი მონიტორინგი)

მოდული 2: საწარმოსა და მისი გარემოს გაცნობა, გუნდისა და სემინარის გაძღოლის უნარი

2.1 საწარმოს გაცნობა (რძის მრეწველობის შესწავლა, საწარმოს ეკონომიკა)
2.2 მენეჯმენტი (ადამიანური რესურსები, იერარქიული ხაზი, საკანონმდებლო რეგულაცია, სოციალური უფლებები)
2.3 კომუნიკაცია პროფესიულ გარემოში (ადამიანური რესურსები, ვიზუალური კომუნიკაცია, კონფლიქტების მართვა, პროფესიული კომუნიკაცია ინგლისურად)

მოდული 3: ინდუსტრიული და ტექნოლოგიური ცოდნა რძის მრეწველობაში

3.1 რძე და მისი გარდაქმნა (მოსამზადებელი სამუშაოები, რძის გარდაქმნის ძირითადი გზები)
3.2 რძე, მისი ნაირსახეობები და ახალი პროდუქტები (პროდუქტების მენეჯმენტი, ახალი ყველის წარმოება, ტექნოლოგიური მექანიზმების კონტროლი)
3.3 რძის კონცენტრაცია, გაშრობა და შუალედური პროდუქტები)
3.4 რძის ცხიმის წარმოება
3.5 რძის შემადგენლობის და ფუნქციონალობის ცოდნა და კონტროლი

მოდული 4: გლობალური წარმადობის მენეჯმენტი

4.1 წარმადობის ფაქტორების შესწავლა და კონტროლი (მიკრობიოლოგია, ქიმია, სენსორული ანალიზი)
4.2 პროექტების მენეჯმენტი (მეთოდოლოგია, საწარმოს მშენებლობა)
4.3 წარმადობის გაზომვა (წარმოების მართვა, ავტომატიზირებული ტექნიკა და სხვა)
4.4 დაგეგმარება და განრიგის შემუშავება
4.5 გლობალური წარმადობის მენეჯმენტი

მოდული 5: პროექტის ხელმძღვანელობა (სასწავლი პროექტი)

მოდული 6: სამუშაო გამოცდილება

16 კვირა – სტუდენტი მოამზადებს ფინალურ საბაკალავრო ნაშრომს და დაიცავს მას ჟიურის წინაშე პროექტის საბოლოო გამოცდის სახით.

კურსის დამთავრება

სწავლის წარმატებით დასრულების შემდეგ, სტუდენტები მიიღებენ ორ დიპლომს: ერთ ბაკალავრის დიპლომს სტუ-სგან და ერთს - რენეს უნივერსიტეტისგან. ორივე ხარისხი აღიარებულია და საშუალებას აძლევს სტუდენტებს სწავლა გააგრძელონ მაგისტრატურის საფეხურზე ევროპის ან სხვა ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც აღიარებს ფრანგულ და ქართულ დიპლომებს.